**გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!**

# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7 2011 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

## შეიქმნა შტაბი „რთველი „2011“



მეოთხე გვერდზე

## საშემოდგომო გაწვევა დაიწყო



მერვე გვერდზე

## სკოლა გვიხმობს



მეხუთე გვერდზე

## მწერის ნაკბენი სახიფათოა



მეხუთე გვერდზე

## გილოცავთ!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა აღსაზრდელებს, საჯარო სკოლების, კოლეჯების, უმაღლესი სასწა ვლებლის მოსწავლე-ახალგაზრდობას, მათ აღმზრდელ-პედაგოგებს. ამასთან, იმ სტუდენტებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში 15 სექტემბრიდან შეუდგებიან სწავლას.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის, ჩვენო ძვირფასებო, ახალი სასწავლო წელი. ახალ-ახალი გამარჯვებები, წარმატებები გეზეიმოთ, დაგეპყროთ ცოდნის ის მწვერვალები, რომლებიც შემდგომ საქართველოს საბოლოო გამარჯვების, თავისუფლების, დამოუკიდებლობის გზამკვლევი იქნება თქვენთვის, საქართველოს მომავალი ბატონ-პატრონებისათვის.

**გია ჩალათაშვილი**
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი,*

**ილია ჭიაურელი**
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*

**ზაზა გულიკაშვილი,**
*საქართველოს პარლამენტის წევრი*



მე პირველკლასელი ვარ

## თოხლიაურში გაიხსნა სოფლის მეურნეობის პროდუქტის შემნახველ-დამფასოებელი ცენტრი

7 სექტემბერს სოფელ თოხლიაურში იაპინიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების გრანტის“ ფარგლებში დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის შენახვისა და დაფასოების ცენტრის დაფუძნების პროექტის გახსნის ცერემონია გაიმართა. ცერემონიას დაესწრო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ბ-ნი **მასაიოში კამოჰარა,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი **გია ჩალათაშვილი**, გამგებლის მოადგილე ბ-ნი **გოჩა ჩერქეზიშვილი,** საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი ბ-ნი **გია დუჩიძე**, მასმედიის წარმომადგენლები, პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ადგილობრივი მოსახლეობა.

ცერემონიაზე სიტყვით გამოსულმა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მისმა აღმატებულებამ ბ-ნმა მასაიოში კამოჰარამ ისაუბრა ქართველი და იაპონელი ერების მეგობრულ ურთიერთობებზე, აღნიშნა, რომ პროექტი, რომელიც იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტით დაფინანსდა, მიმართულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობისათვის, ეს პროექტი გაგრძელებაა იმ პროექტისა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობი-

*დასასრული მე-3 გვერდზე*

## კომპიუტერი — მტერი თუ მოყვარე?!



მეშვიდე გვერდზე

# თათბირის დღიურიდან



6 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გია ჩალათაშვილი უძღვებოდა. მან გამგეობის სამსახურის უფროსებსა და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს გააცნო „რთველი-2011“-ის მოსამზადებელ და შემდგომ პერიოდში ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ამოცანები და მასშტაბები. აქვე აღნიშნა, რომ შექმნილია რაიონული შტაბი „რთველი 2011“-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის და ისაუბრა შტაბის ფუნქციებსა და ამოცანებზე...

თათბირზე ბატონმა გია ჩალათაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სოფლებში მიმდინარე იმ მშენებლობებისა და აღდგენითი სამუშაოების მშენებლებისაგან ხარისხიანად შესრულების საკითხს, რომლებიც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამითა და სხვა პროექტებით მიმდინარეობს. აქვე, თითეული რწმუნებულიდან გამოიკითხა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურისა და გზების მშენებლობის მიმდინარეობა, მოისმინა პრობლემები და ადგილზევე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები მათ გადასაწყვეტად.

*თინა ილაური*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგვისტოს სხდომას 19 დეპუტატი ესწრებოდა. სხდომაზე დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის № 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ამავე სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების გამგემ **თინათინ ძაბილაშვილმა.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მეთექვსმეტე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ‘საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეტანილია ცვლილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 150 000 ლარით და განისაზღვრა 7 798 100 ლარის ოდენობით. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შეტანილია ცვლილება, კერძოდ 150 000 ლარით გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლება – გაიზარდა შემოსავალი ძირითადად აქტივების გაყიდვიდან. 200 ლარით გაიზარდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი და 200 ლარით შემცირდა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის.

ცვლილება განიცადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახდების ნაწილში, კერძოდ, გაიზარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ხარჯები 40 500 ლარით (500 ლარით გაიზარდა ოფისის ხარჯები და 400 000 ლარით არაფინანსური აქტივების ზრდა), 500 ლარით შემცირდა ზედამხედველობის სამსახურის ოფისის ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის ხარჯებში ოფისის ხარჯი შემცირდა 900 ლარით და გადანაცვლდა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაში. 40 000 ლარით გაიზარდა სოციალურად დაუცველი პირების დახმარება.

საკრებულომ განიხილა და თანახმად საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მეოცე მუხლისა, შეიტანა ცვლილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2010 წლის 28 დეკემბრის № 33 დადგენილებით დამტკიცებულ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის შესახებ“ და დაამტკიცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის შემოსავლების ნაწილში 7 798 100 ლარის ოდენობით. მათ შორის სხვა დონის სახელმწიფო ერთეულიდან აღებული გრანტი 4 658 300 ლარის ოდენობით. აქედან გათანაბრებული ტრანსფერი 2 690 700 ლარის, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 177 000 ლარის, სპეციალური ტრანსფერი 1 790 600 ლარის ოდენობით, გადასახადების ნაწილში 7 798100 ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთის მოცულობა 2012 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრა 250 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდის მოცულობა 31 151 ლარის ოდენობით. 2009 წელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიდან აღებული ვალდებულებებით დაფარვის და მომსახურების ასიგნება 16 440 ლარის ოდენობით.

სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსის ანგარიში 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც გააკეთა ამავე სამსახურის უფროსმა ძაგული მათიაშვილმა (ანგარიშს გთავაზობთ გაზეთის ამავე ნომერში).

სხდომამ ასევე განიხილა და იმსჯელა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრებ თინა ნაცვლიშვილის განცხადება გიორგიწმინდის თემის საკრებულოს თავმჯდომარის 2005 წლის 1 სექტემბრის №360 ცნობის ბათილად ცნობის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე განიხილეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდის შეცვლასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (მომხსენებელი ილია ჭიაურელი).

საკრებულოს სხდომაზე განხილულ საკითხებზე სხდომამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

# გულახდილი საუბარი ნაკლზე და წარმატებებზე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის (უფროსი ძაგული მათიაშვილი) ანგარიში 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც სამსახურის უფროსმა ძაგული მათიაშვილმა აღნიშნა: – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურმა სამსახურმა, როგორც სტრუქტურულმა სამსახურმა ერთეულმა, ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლის 26 ნოემბრიდან, – ორი ყოფილი სამსახურის გაერთიანების შედეგად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობისა და კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის შერწყმით. სამსახურში დაკავებული 14 თანამშრომელი 10-ზე მეტ სხვადასხვა სფეროს ემსახურება.

სოციალური სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, სპორტის და მათთან დაკავშირებული სამსახურების და სტრუქტურული ერთეულების მუნიციპალური პროგრამების მართვა, მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის საკითხებთან დაკავშირებული პროექტების მომზადება, დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია.

მიმდინარე პერიოდში რეგულარულად ტარდებოდა თათბირები და შეხვედრები ჯანმრთელობის დაცვის სფეროს თითოეულ სამსახურთან, როგორებიცაა: შპს „საგარეჯოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური–03“, ‘მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, შპს ‘ბავშვთა საავადმყოფო“, შპს საგარეჯოს ბავშვთა პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანება,“ სააქციო საზოგადოება ‘საგარეჯოს რაიონული საავადმყოფო“. შედგენილი იყო კითხვარი, რომელიც სპეციფიურია თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკე. აღნიშნული კითხვარის მიხედვით პერიოდულად და წლის ბოლოს გროვდება ინფორმაციები, რაც საშუალებას იძლევა თვალყური ადევნონ აღნიშნულ სფეროში მიმდინარე პროცესებს.

სამსახური თავის მუშაობაში ითვალისწინებდა მოქალაქეთა განცხადებებში დასმულ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ პრობლემებს.

მნიშვნელოვანი ყურადღება იყო გამახვილებული ლტოლვილთა სამედიცინო მომსახურებაზე და მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე.

2010 წლის აგვისტოს დასაწყისში ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან აღრიცხვაზე იმყოფებოდა 620 ვეტერანი, მათ შორის 68 დიდი სამამულო ომის, 42 ავღანეთის ომის ვეტერანი. ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების 196 ვეტერანი, 13 სამხედრო ძალების ვეტერანი, 46 ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, 168 მარჩენალდაკარგული და 87 ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი, მაგრამ საანგარიშო პერიოდში მოხდა ამ აღრიცხვაში გარკვეული ცვლილებები: გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის 18 და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების 3 მონაწილე, რომელთა ოჯახებზეც გაიცა 5250 ლარი, აღრიცხვაზე აიყვანეს 19 ვეტერანი, ამასთან, დეპარტამენტში წარდგენილია 7 ვეტერანის ანკეტა კოდის მისანიჭებლად და აღრიცხვაზე ასაყვანად. სულ აღრიცხვაზე 2011 წლის მაისის თვემდე იმყოფებოდა 614 ვეტერანი.

2010 წლის აგვისტოდან საანგარიშო წლის განმავლობაში დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე გაიცა სხვადასხვა სახის დახმარებები, 9 მაისს და 8 აგვისტოს გვირგვინებით იქნა შემკობილი პატარძეულის გმირთა მემორიალი და რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტის დროს დაღუპული მებრძოლების რევაზ მამისაშვილისა და გია კირაკოზაშვილის საფლავები, მათ ოჯახებს გაეწიათ ფულადი დახმარება.

მზრუნველობასა და დიდ ყურადღებას ითხოვს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონიდან განთავსებული 240 სული – 78 ოჯახი. მათ შორის კომპაქტურად განთავსებული არის 153 სული – 51 ოჯახი. აფხაზეთიდან 75 სული – 27 ოჯახი, შიდა ქართლიდან 78 სული – 24 ოჯახი.

კერძო სექტორში განთავსებული არის 32 ოჯახი – 87 სული. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ფულადი დახმარება გაუწია 8 ოჯახს თანხით 850 ლარი.2011 წელს თებერვალში აფხაზეთიდან დევნილებს საცხოვრებელ კორპუსში ‘სოკარ-ჯოჯიას“ მიერ შეყვანილი იქნა ბუნებრივი აირი, მუნიციპალიტეტის მიერ კი მათთვის შეძენილი იქნა ორკამფორიანი გაზქურები, რაც დაურიგდა 27 ოჯახს. საახალწლოდ, სააღდგომოდ ყველა ოჯახს დაურიგდა საჩუქრები, კვების პროდუქტები. ასევე საახალწლო საჩუქარი გადაეცა სოციალურად დაუცველ 450 ოჯახს, (9000 ლარი), მუნიციპალიტეტმა ამავე წლის თებერვალში გადარიცხა თანხა წყლის საქაჩის შესაძინად. 2011 წლის 21 აპრილს საგარეჯოს ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრში მოეწყო შეხვედრა დანიის წითელი ჯვრის წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა 13 ბიზნეს-პროექტი, მათგან შეირჩა 3 პროექტი, რომელიც დააფინანსა დანიის წითელმა ჯვარმა: პურფუნთუშეულის – (დასაქმდება 18 ადამიანი); თეთრეულის კერვის (დასაქმდება 6 ადამიანი); ქსოვის შესწავლა (დასაქმდება 5 ადამიანი). ასევე, 6 დევნილ ახალგაზრდას შეასწავლეს თექაზე მუშაობა.

ბოლო ერთი წლის მანძილზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურში შესულია სულ 1250 განცხადება. მათგან 17 კახეთის პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაცი-

***დასასრული მე–3 გვერდზე***

## მადლობა

მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის (უფროსი ზაქარია ოტიაშვილი) თითოეულ თანამშრომელს იმ ვაჟკაცობის, მამაცობისა და პროფესიული ერთგულებისათვის, რაც მათ 2 და 19 აგვისტოს გამოიჩინეს სოფელ უდაბნოს ტერიტორიაზე. მათ ორჯერ ხანძარს გადაარჩინეს აქაური მოსახლეობის ქონება და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მუდამ მზად არიან იდგნენ მოსახლეობის გვერდით, არ შეუშინდნენ სიძნელეებს, თუნდაც ეს საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად დაუჯდეთ.

*მოსახლეობის სახელით სოფელ უდაბნოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი*

***ლამარა კვანჭიანი***

# გულახდილი საუბარი ნაკლზე და წარმატებებზე

**დასასრული**

იდან, საიდანაც, 15 განცხადება დაკმაყოფილებულია 1600 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტიდან შემოსული 1235 განცხადებიდან დაკმაყოფილდა – 855 განცხადება – 133 155 ლარით. (სულ: 157070 ლარი.

იანვრიდან განახლდა საჯარო სკოლების მონაცემთა ბაზა. კერძოდ, მასწავლებელთა, მოსწავლეთა ადმინისტრაციისა და ტექპერსონალის სიები: ასევე გაკეთდა სკოლების ძირითად პრობლემათა ცხრილი მიმდინარე წლისათვის, მათთვის შემდგომი დახმარების გაწევის თვალსაზრისით (მიმდინარე რემონტებისათვის).;

კოორდინაციას ვუწევდით სკოლების შეშით მომარაგების საკითხს ზამთრის პერიოდში; სოციალური სფეროს მთავარი სპეციალისტი განათლების საკითხებში რეგულარულად მონაწილეობს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის კომისიაში;

აღსანიშნავია, რომ ახალ სასწავლო წელს ყველა პირველკლასელი მიიღებს საჩუქრად ნეთბუქს, ასევე სახელმძღვანელოებს; ყველა კლასის სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს სახელმძღვანელოები გადაეცემა საჩუქრად; 1-VI კლასებში იცვლება სახელმძღვანელოები, რომლებიც აღარ შეიცვლება მომდევნო 5 წლის განმავლობაში. VII-XII კლასები ისწავლიან ძველი სახელმძღვანელოებით. ახალი სასწავლო წლიდან ინგლისური ენის სწავლება იწყება I კლასიდან.

განათლების სფერო და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ყოველთვის იქნება პრიორიტეტული ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.

ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯებიდან დაფინანსდა სხვადასხვა რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის შიდა კულტურულ ღონისძიებებსა და კონკურსებში მონაწილე ახალგაზრდების ტრანსპორტირების ხარჯები. დაფინანსდა აგრეთვე მოლდოვაში, ქ. კიშინიოვში კონკურს 'გოლდენ ვოის"-ში მონაწილე ირინა ბაირამაშვილის ტრანსპორტირების ხარჯები.

ზაფხულის არდადეგებთან დაკავშირებით ივლისის თვეში დაიწყო და ოქტომბრამდე გაგრძელდება საზაფხულო კონცერტები, ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლების მონაწილეობით კულტურის სახლთან მდებარე სკვერში. ამჟამად ჩატარებულია სამი კონცერტი. აგვისტოში ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ახალგაზრდა საგარეჯოელი პოეტების საღამო, რომელმაც დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში. ლიტერატურული საღამოები დაგეგმილია უახლოეს მომავალში და მიიღებს ინტენსიურ სახეს.

რაც შეეხება აიპ 'საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანებას", საგარეჯოს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო გაერთიანების (26 სკოლამდელი დაწესებულება, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი) საქმიანობას. მომხსენებელი მასზე დაწვრილებით აღარ შეჩერებულა, რადგან მათი ანგარიში მუნიციპალიტეტის ივლისის სხდომაზე იქნა მოსმენილი.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელი კულტურის სასახლის ტექნიკური ბაზა, ახალგაზრდული ცენტრი, საერთო ინფრასტრუქტურა და რაც მთავარია, სახალხო თეატრის დასის წევრთა შემოქმედებითი პოტენციალი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი. წელიწადში ერთი სპექტაკლი და ჩატარებული ღონისძიებები ნამდვილად არ არის საკმარისი, რადგან ყველაფერი ძირითადად მაინც თანხებზე არის დამოკიდებული, კარგი იქნება, მომავალში ყველაფერ ამას თუ გაითვალისწინებს საკრებულო 2012 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

მომხსენებელმა ისაუბრა საგარეჯოელი სპორტსმენების მიერ სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოპოვებულ წარმატებებზე და აღნიშნა, რომ ისინი სისტემატურად მონაწილეობენ მრავალ რეგიონალურ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებში. ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში ისინი ღირსეულად აგრძელებენ სახელოვანი საგარეჯოელი ფალავნების ბრწყინვალე ტრადიციებს. საქართველოს სხვადასხვა ასაკისა და სახეობების ნაკრებ გუნდებში შეყვანილია 12 სპორტსმენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიურ თამაშებში. ჭიდაობა სამბოში ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა უშანგი კუზანაშვილმა. თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ბექა პეტრიაშვილმა. ძიუდოში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა ვანო მამისაშვილმა. ამავე ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი აიღო თამაზ კირაკოზაშვილმა. მესამე ადგილი აიღო მან ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიადაზეც. ეს სპორტსმენები, ასევე, არიან 2011 წლის საქართველოს ჩემპიონები. საგარეჯოელთა დიდი იმედია თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით სუხიშვილი, რომელმაც ოლიმპიადაზე ლონდონში დიდ წარმატებას უნდა მიაღწიოს. ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატზე 16 და 18 წლამდე გოგონათა შორის ნანი უნაფქოშვილმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავა.

მუნიციპალიტეტის გამგეობა წახალისების მიზნით სისტემატურად აჯილდოებს ფულადი პრემიებითა და სიგელებით სპორტსმენებს, რომლებმაც თავიანთ სახეობებში მიაღწიეს მაღალ სპორტულ შედეგებს.

მომხსენებელმა სპორტსმენთა მიერ მიღწეული წარმატებების ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ისაუბრა სამსახურის საქმიანობის ნაკლზეც. როგორც ბ-ნმა ძაგული მათიაშვილმა თქვა, ახალგაზრდულ თუ სპორტულ ღონისძიებებს სამსახური ვერ ატარებს მუნიციპალიტეტის სოფლებში, თუ არ ჩავთვლით რელიგიურ და სახალხო დღესასწაულებს.

– ადგილებზე ახალგაზრდებთან საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად მსგავსი ღონისძიებების ჩატარება სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდესო, – აღნიშნა დასასრულ მომხსენებელმა.

# თოხლიაურში გაიხსნა სოფლის მეურნეობის პროდუქტის შემნახველ-დამფასოებელი ცენტრი

**დასასრული**

სათვის საჭირო ტექნიკის შეძენას სოფელ თოხლიაურიში. როგორც ბატონმა ელჩმა აღნიშნა, დღევანდელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და დაფასოების ცენტრის დაფუძნება სოფელ თოხლიაურში ერთერთი გრძელვადიანი პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეტაპობრივად გაგრძელდება. მან მადლობა გადაუხადა რაიონის გამგებელს, რაიონის ხელმძღვანელობას, სოფლის მოსახლეობას ამ პროექტის განხორციელებაში მიღებული მონაწილეობისათვის.

ცერემონიაზე სიტყვით გამოსულმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გია ჩალათაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იაპონიაში მომხდარი ტრაგედიისა, როცა ქვეყანას იქით სჭირდება დახმარება, მათ საქართველოში, კერძოდ თოხლიაურში სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასახმარებლად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება შეძლეს. დღეს სოფელ თოხლიაურის სახით მივიღეთ სოფელი, სადაც არის გზა, სკოლა, წესრიგდება ინფრასტრუქტურა, მშრომელ ადამიანს შეუძლია თავისი მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტი ნორმალური სახით შეინახოს, დაფასოებული სახით მოახდინოს მისი რეალიზაცია. მან მუნიციპალიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში და იაპონიის მთავრობას ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტისათვის.



ასევე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბატონმა გოჩა ჩერქეზიშვილმა ისაუბრა იმ სიკეთეზე, რომელიც სოფლის მოსახლეობას სოფლის მეურნეობის შემნახველ-დამფასოებელი ცენტრი მოუტანს. საინტერესოა, რომ ზემოხსენებული პროექტის საგრანტო კონტრაქტს იაპონიის საელჩოსა და აგროტექნოლოგიური ასოციაციის წარმომადგენელთა მიერ 2010 წლის 15 სექტემბერს მოეწერა ხელი. პროექტის ძირითადი მიზანი სოფელ თოხლიაურის შემოსავლების გაზრდაა აქ დაარსებული შემნახველ-დამფასოებელი ცენტრის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ 4 000 –მდე ადამიანი პირადად ისარგებლებს ამ პროექტით, რომლის ღირებულებაც 84 392 ამერიკული დოლარია.





– „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა" – (GGP) დახმარებას უწევს შედარებით მცირემასშტაბიან პროექტებს, რომლებიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების, სამედიცინო დაწესებულებების, სასწავლო დაწესებულებებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ და რომელთა პირდაპირი მიზანია საქართველოს ხელმოკლე მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. პროექტები შეიძლება განხორციელდეს ჯანდაცვის, დაწყებითი და საშუალო განათლების, სოციალური და გარემოს დაცვის, სიღარიბის დაძლევის და შემოსავლების სფეროებში. 1998 წლიდან საქართველოში (GGP) -ის 106 პროექტი განხორციელდა, რომელთა საერთო ღირებულება 8 631 344 ამერიკული დოლარია. სულ იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარებამ საქართველოსთვის 362 მილიონ დოლარს მიაღწია ისეთი სფეროებისათვის, როგორიცაა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის სექტორი, სოციალური სექტორი, კულტურული სფერო და ადამიანური რესურსების განვითარება, – აღნიშნა იაპონიის ელჩის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ბ-ნმა ნიკოლოზ თოხვაძემ.

რაც მთავარია, აღნიშნული ცენტრის მშენებლობაზე დასაქმებული იყვნენ თოხლიაურელები. ცენტრის სამაცივრე განყოფილება სამი დამოუკიდებელი სათავსოსაგან შედგება, თითოეულ მათგანში განსხვავებული რეჟიმია, რადგან ყურძენს, კურკოვან და თესლოვან ხილს შენახვის სხვადასხვა რეჟიმი სჭირდება, როგორც აღნიშნეს, ამ დღისათვის უკვე აქ 20-მდე შეკვეთა მიიღეს ხილის შენახვის, დაფასოებისა და რეალიზაციის საბოლოო სახის მისაღებად.

*თინა ილაური*

*„გარეჯის მაცნეს" საკუთარი ფოტომასალა*

## შეიქმნა შტაბი „რთველი-2011“-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის



საგარეჯოს მუნიციპალიტეტში „რთველი-2011“-ის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნა რაიონული შტაბი შემდეგი შემადგენლობით: შტაბის უფროსი სანდრო ერბოწონაშვილი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე, შტაბის უფროსის მოადგილე – დავით ბაკურაძე – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, საჯარო მოხელე, ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში; შტაბის წევრი – ნიკოლოზ ბუზარიაშვილი – ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, შესყიდვების საკითხებში; შტაბის წევრი – ომარ ქიტოშვილი – ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების წამყვანი სპეციალისტი მუნიციპალური ქონების საკითხებში.

აღნიშნული შტაბი დროულად მოიპოვებს რაიონში არსებული ღვინის ქარხნების მუშაობისა და სოფლებში რთვლის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციებს, რომლებიც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან იქნება.

## ყურძნის დაწურვას ქვევრში აპირებთ?!

რთველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე დაიწყო. მალე საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც ძალაში შევა „რთველი-2011“. კარგი მევენახე რთვლისათვის თადარიგს ადრევე იჭერს – იმარაგებს ჭურჭელს – რეცხავს ქვევრებს, თუმცა, ამ ბოლო დროს ცოტა თუ მიმართავს ქვევრში ყურძნის ჩაწურვას – პლასტმასის ჭურჭელმა კარგა ხანია მიგვავიწყა ქვევრი, „მარანი“ ზოგიერთისათვის მხოლოდ ბუხარში აშიშხინებული მწვადის ასოციაციას თუღა იწვევს.

ქვევრი შეიძლება გაირეცხოს ყოველგვარი სარეცხი საშუალებების დაუმატებლად – ცხელი და ცივი წყლით, თუმცა, ქვევრის გარეცხვა საკმაოდ შრომატევადი საქმეა.

ადრე დიდ ქვევრებში ადვილად რომ ჩასულიყვნენ და მოხერხებულად ჩამდგარიყვნენ მრეცხავები შიგ, ქვევრის ფსკერზე დებდნენ ვაზის წალმის ორსამ კონას, რაზედაც დგებოდა მრეცხავი და მოხერხებულად ხეხავდა ქვევრის კედლებს.

ღვინის ლექი და ღვინის ქვა ქვევრის ფორიან კედლებში ღრმად ჯდება, ე.ი. ღვინოს რაც უარყოფითი აქვს და ადამიანის ჯანმრთელობისათვის არ არის სასურველი, თიხის ქვევრი ღვინოს აცლის მას, თავის კედლებში „იტოვებს“, მაგრამ ამ ჭუჭყის ქვევრის კედლებიდან მოცილება გარკვეულ შრომასა და ენერგიას მოითხოვს. სწორედ ქვევრის ფორებში ჩამჯდარი ლექი და ღვინის ქვაა ძნელად მოსაცილებელი. არადა, ღვინის ხარისხის გაუარესებას სწორედ მათ აბრალებენ მეღვინეები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ქვევრის ფორებიდან ცხელი და ცივი წყლების მონაცვლეობითაც აცილებენ (რაც ძალიან დიდხანს უნდა გაგრძელდეს და საკმაოდ დიდი რაოდენობის წყალიც იხარჯება), ჩვენმა წინაპრებმა აქაც გამონახეს გამოსავალი – ე.წ. ნაცარწმენდილი. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნაცარი და თუ მას სწორედ გამოვიყენებთ, არც ქვევრს დააზიანებს და შემდგომში არც ღვინისათვის იქნება საზიანო. როგორც ახლა მეცნიერები ხსნიან, ღვინის ყველანაირი ნარჩენი, რომელიც ქვევრში რჩება (ღვინის ქვა, ლექი, საღებავი ნივთიერებები) მჟავური ხასიათისაა, ხოლო ნაცარი სუსტი ტუტეა და ნაცარწმენდილიც ამ ნარჩენების გამხსნელია.

გაინტერესებთ როგორ მზადდება ნაცარწმენდილი? გაცრილი ნაცარი უნდა ჩავყაროთ წყალში, კარგად გავხსნათ– მოვურიოთ, შევდგათ ცეცხლზე და წამოვადუღოთ. შემდეგ კი, როცა წყალი დაწმინდავდება – გაიყოფა წყალი, და ნაცარი ჭურჭლის ძირზე დაილექავს, წყალი გადმოვწუროთ. ნაცარწმენდილის დასამზადებლად 1-1,5 კგ წმინდა, გაცრილ ნაცარს ვუმატებთ 3-5 ლიტრ წყალს. (ადრე ნაცარწმენდილს თეთრეულის, სარეცხის დასარეცხად, ხელპირის, თავის დასაბანადაც კი ხმარობდნენ ქართველები).

ნაცარწმენდილის ქვევრში ჩასხმამდე, ქვევრის კედლებს უნდა გადავავლოთ ცივი წყალი, შემდეგ კი გამოვიყენოთ გასარეცხად ნაცარწყალი. შემდეგ ქვევრი ჯერ ცივი, შემდეგ კი ნელთბილი წყლით გავრეცხოთ და რეცხვის დამთავრებამდე კიდევ ერთხელ გადავავლოთ ცივი ან ნელთბილი წყალი. ისე, მშრალ ნაცარსაც იყენებენ ქვევრის გასარეცხად, მაგრამ, ეს უფრო შრომატევადია, რადგან წყლით დასველებულ ქვევრის კედლებზე შეფრქვეული მშრალი, გაცრილი ნაცარი უფრო ძნელი მოსაცილებელია. სამაგიეროდ უფრო ეფექტური ხერხია იმისათვის, რომ ქვევრის ფორებში არ განვითარდეს მავნე მიკროორგანიზმები შიგ ჩარჩენილი ნაშთების გამო.

ქვევრის კედლების დეზინფექციისათვის მასში აბოლებენ გოგირდსაც. ქვევრის ყოველი 100 ლიტრის მოცულობას სჭირდება 3 გრამი გოგირდი, თუმცა, გოგირდის გადამეტებული დოზა არ არის საშიში. გოგირდის ჩაბოლება შეიძლება, როგორც გოგირდის ფხვნილის, ისე წინასწარ მომზადებული ფითილის სახით. ოღონდ არ შეიძლება ქვევრში გამდნარი, ცეცხლმოკიდებული გოგირდის ჩაღვენთვა. მან შეიძლება ღვინოს გოგირდწყალბადის სუნი და გემო მისცეს. გოგირდის ჩაბოლება უნდა მოხდეს ქვევრის გარეცხვის შემდეგ, შეიძლება რამდენჯერმე შიგ ყურძნის ჩაწურვის, ან ღვინის ჩასხმის წინ. ოღონდ ქვევრის კედლები სველი უნდა იყოს, რადგან დამწვარი გოგირდის ბოლი რეაქციაში შედის ქვევრის კედლებზე დარჩენილ სისველესთან, რის შემდეგაც წარმოიქმნება გოგირდოვანი მჟავა. იგი აღწევს ქვევრის ფორებში, იქ, სადაც ღრმადაა ჩამჯდარი ჭუჭყი და ხორციელდება ქვევრის შიდა ზედაპირის დეზინფექცია. მაგრამ, თუ გამორეცხვის შემდეგ ქვევრი დიდხანს რჩება ცარიელი, მაშინ გოგირდის ჩაბოლება უნდა მოხდეს მშრალ ქვევრში.

ქვევრის პატარ-პატარა დაზიანების ამოვსება ე.წ. „ხიზით“ კი თქვენც გეცოდინებათ. თუ არ იცით, შეგვეკითხეთ და გასწავლით. ან იქნებ უკეთესად სხვამაც იცოდეს?! გვითხარით, ნუ დაგვზარდებით!

***თინა ილაური***



## „ჯაგერს“ საგარეჯოში არ გაუმართლა

### როცა აგროტექნიკური წესები დარღვეულია

უკვე კარგა ხანია, რაც მუნიციპალიტეტის ველ-მინდვრებში მიწყდა მეალოეთა საქმიანობა. გარეჯელმა მხვნელ-მთესველებმა მოსავალი დააბინავეს და ახლა მისი რეალიზაციის მოლოდინში არიან. ყველა ხორბალზე ფასების აწევას ელოდება, რომ კარგ ფასად გაყიდვით დაფარონ მოსავლის მიღებაზე გაწეული ხარჯები და მომავალი კვლავწარმოებისათვისაც შემოინახონ თანხა. ახლა მათ იმის დროც კი აქვთ, დაფიქრდნენ და გამოიანგარიშონ რა და რომელი კულტურის მოვლა-მოყვანაა უფრო სარფიანი – მათთვის ადგილობრივი პურეული მარცვლეულისა თუ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ჰიბრიდული ჯიშების. როგორც ცნობილია, ადგილობრივ ჯიშებთან ერთად, მიმდინარე წლისათვის მუნიციპალიტეტში 665 ჰექტარზე ამერიკული ხორბალი „ჯაგერიც“ იყო დათესილი. ამ ხორბლის სათესლე მასალაზე, რომელიც ჩვენებურ თესლთან შედარებით საკმაოდ ძვირი ღირდა (~1 აშშ დოლარი), თავიდანვე დიდი მოთხოვნა იყო. ამის მიზეზი მისი მახასიათებლები: მაღალმოსავლიანობა (1 ჰა-ზე 70 ცენტნერი), მაღალი გვალვაგამძლეობა, სრულყოფილი, ხარისხიანი მარცვალი იყო, რაც ნებისმიერ მიწათმოქმედს, მით უმეტეს, ჩვენისთანა გვალვიანი კლიმატური პირობების მქონე მეურნეს დააინტერესებდა.

შვიდ ტონას თუ არა, ჰა-ზე ამის ნახევარს ხომ მაინც ავიღებთ, მაშინ, როცა ჩვენს პირობებში ადგილობრივი ხორბალი 2-2,5 ტონას ან იძლევა, ან ვერაო – ასე „გათვალა“ ბევრმა და დაიწყეს „ჯაგერის“ თესვა – ვინც როგორ შეძლო და მოახერხა, ისევ აქამდე ჩვეული მამაპაპური მეთოდით – აგროვადებისა და აგროტექნიკური წესების უხეში დარღვევებით. შედეგი? ამას კითხვა უნდა? „ჯაგერის“ დამთესავთაგან მხოლოდ თითო-ოროლამ თუ მოახერხა იმ წინასწარ გათვლილი „სანახევრო“ მოსავლის მიღება. მართალია, ამაში მთლად ჩვენი მხვნელ-მთესველები არ არიან დამნაშავენი, რადგან „არც“ ეკონომიკური და ბუნებრივი პირობები უწყობდნენ მათ ხელს ყველა აგროღონისძიების დროულ და ხარისხიან ჩატარებაში, მაგრამ ვინც კვლავ ან ახლიდან აპირებს ამ საქმისათვის ხელის მოკიდებას, მომავლიდან მაინც უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული და მთლად ღვთის და ბუნების იმედად არ უნდა მიაბარონ თესლი ხნულს.



„გარეჯის მაცნეს“ რედაქცია აღნიშნულ თემაზე დაუკავშირდა რამდენიმე ფერმერს, ვისაც წელს „ჯაგერი“ ეთესა და მოსავალი მიიღო.

**ა.შ.**(საგარეჯო): – „ჯაგერი“ 10 ჰა-ზე მეთესა. ვიდრე თესლი არ შევიძინე, ხვნაზე ხარჯების გაწევას მოვერიდე, ამიტომ მიწის დამუშავება და დათესვა ერთი თვით გვიან მომიხერხდა, როცა თესლი შემოიტანეს. ნათესში სასუქი არ შემიტანია. ამ ფართობიდან საშუალო მოსავლიანობა ზოგ ნაკვეთში 3, – ზოგან კი 2,5 ტონას აღწევდა

**მ.ა.** (საგარეჯო): – ჩვენს მიერ დათესილი „ჯაგერის“ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 2,5 ტონაა. დაბალ მოსავალს იმას ვაბრალებთ, რომ ცხელმა კლიმატურმა პირობებმა თესლს დროზე გაღვივება-აღმოცენების საშუალება არ მისცა. რაც შეეხება ხორბლის თვისებებს, – აქვს კარგი წებოვნება. 1 ტომარა ამ ხორბლიდან 60 კგ ფქვილი გამოდის, მაშინ, როცა ჩვენი ხორბალი 48 კგ ფქვილზე მეტს არ იძლევა. როცა თესლი შევიძინეთ, გვითხრეს 1 ჰა-ზე საშუალოდ 4-5 ტონა მარცვალს მაინც მიიღებთო, მაგრამ ნათესებს ხელი ვერც ჩვენ შევუწყეთ, სასუქი ვერ შევიტანეთ და ეს შედეგი ამის ბრალიცაა. ახლა სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გვირეკავენ და გვეუბნებიან ჯერ არ გაყიდოთ, უნდათ რომ სათესლედ გამოიყენონ.

**გ. მ.** (პატარძეული): – “ჯაგერი“ 50 ჰა-ზე მეთესა. გამოსაკვებად სასუქი მცირე ფართობზე შევიტანე, რადგან სასუქი ძალიან ძვირია, ტომარა 50 ლარი ღირს. მას თუ ნიადაგის დამუშავების, თესვის, მორწყვის ღირებულებას დავუმატებთ, საკმაო თანხა გროვდება და ყველა სამუშაოს სრულყოფილად ჩატარების ეკონომიური საშუალება არ მქონდა. ამის გამო საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 1,8 ტონა შეადგინა. თუმცა უნდა ვთქვა, რომ იგივე ფართობში 8 ჰა-ზე მეთესა ადგილობრივი ხორბალი და მან ჰა-ზე საშუალოდ 3 ტონა მოსავალი მოგვცა. არ ვიცი იქ სხვანაირი ნიადაგი თუა, თორემ ორივე ნათესს ერთნაირად მოვუარე

**პ.ა.** (ნინოწმინდა): – ამერიკული ხორბალი 76 ჰა-ზე მეთესა. ხვნა-თესვა აგროვადებში ჩავატარე – 18 აგვისტოს მიწა მომზადებული მქონდა დასათესად. რაზედაც შევძელი, შევიტანე სასუქი, ყანების ნაწილი კი გასანოყიერებელი დამრჩა. ჩემს ყანებში „ჯაგერის“ საჰექტარო მოსავლიანობამ 3,3 ტონას გადააჭარბა. სხვა მხვნელ-მთესველებთან შედარებით ეს თითქოს კარგი მოსავალია, მაგრამ შეიძლებოდა ერთი-ორად მეტი მოსავლის მიღებაც, თუკი ყველა აგროტექნიკური სამუშაოს ჩატარების საშუალება მექნებოდა. უხვი მოსავლის მიღებაში ძირითად ხელისშემშლელ მიზეზად მე გაზაფხულის ჭარბნალექიანობა მიმაჩნია.

ძირითადში ასეთივე პასუხები გაგვცეს „ჯაგერის“ შესახებ სხვა მიწათმოქმედებმა, – ვინ დროზე ვერ შეძლო ნიადაგის მომზადება და დათესვა, ვინ სასუქი დააკლო ყანას, ვინ მორწყვა და შესაბამისად ზოგმა ჰექტარზე მხოლოდ 0,8 - ტონა ხორბალი აიღო, ამიტომ, ვფიქრობთ, წლევანდელი შედეგები სამაგალითო გახდება მათთვის სამომავლოდ. ამ ერთი ნათქვამისა არ იყოს, სჯობს ცოტა ჰქონდეთ და კარგი, ვიდრე 100 ჰექტარზე დათესონ ყანა და 10 ჰექტრის მოსავალი ვერ მიიღონ იქიდან.

***გივი დაბახიშვილი***

# სასწავლო წელი სიახლეებით იწყება



**15** სექტემბერს, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში აწკრიალდება ახალი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარი. ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით გვესაუბრება *საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი* ბ-ნი **ბია დუჩიძე.**

**— ბ-ნო გია ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება, — ახალი სასწავლო წელი, რომელიც მათ მიერ ცოდნის მწვერვალების დაუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რას ეტყოდით ამასთან დაკავშირებით ჩვენს მოსწავლეებსა და მათ აღმზრდელ პედაგოგებს?**

— პირველ რიგში ჩვენს მოსწავლეებსა და მათ აღმზრდელ პედაგოგებს და განათლების სფეროში დასაქმებულ ყველა მუშაკს მივულოცავ ახალი 2011-2012 სასწავლო წლის დაწყებას. მინდა ყველა მათგანს ვუსურვო წარმატებული და ნაყოფიერი მოღვაწეობა, სიხარული, ბედნიერება და ახალ-ახალი მიღწევები იმ მნიშვნელოვან საქმეში, რასაც ჩვენი ქვეყნის მომავლის — ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა ჰქვია. რაც უფრო მეტი განათლებული ახალგაზრდა ეყოლება ქვეყანას, რაც უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ ისინი სწავლა-განათლების საქმეში, მით უფრო ძლიერი და წარმატებული იქნება საქართველო, მთელი ჩვენი ხალხი, რადგან ქვეყანას მათი სახით გონიერი და განათლებული ბატონ-პატრონი ეყოლება.

**— ამ ბოლო ხანებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ბევრ მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს, მისი საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების სტანდარტების დონეზე აყვანისათვის. რა სიახლეები ელით ამ კუთხით ახალი სასწავლო წლიდან სკოლის კედლებში დაბრუნებულ მოსწავლეებს?**

— ახალი სასწავლო წლის პირველი და უმთავრესი სიახლე ის გახლავთ, რომ განათლების პირველ საფეხურზე, ანუ პირველ-მეექვსე კლასებში წელს პირველად ინერგება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მომდევნო ხუთი წლის მანძილზე აღარ შეიცვლება. ეს, რა თქმა უნდა, ეხება სასწავლო სახელმძღვანელოებსაც. რაც შეეხება განათლების მომდევნო საფეხურებს, აქ ეს გეგმა მომავალი წლიდან დაინერგება და ასევე ხუთი წლის მანძილზე აღარ შეიცვლება. ვფიქრობ, რომ ეს სიახლე და ამ გეგმის დანერგვა კიდევ უფრო აამაღლებს და გაზრდის შერჩეული საგნების მიმართ ჩვენი მოსწავლეების დაინტერესებასა და სწავლის უნარიანობის ამაღლებას, სტაბილურობას და თანმიმდევრულობას შეიტანს სკოლებში, საერთოდ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებში.

**— რას გვეტყვით პირველ კლასებში ინგლისურის, როგორც სავალდებულო უცხო ენის სწავლების შემოღების შესახებ?**

— ინგლისური ენის, როგორც პირველი უცხო ენის შესწავლა წელს სავალდებულო გახდება ყველა პირველკლასელისათვის, რაც შეეხება მეორე უცხო ენას, აქ სკოლების წინაშე ფართო არჩევანია — მათ სურვილისამებრ შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, თუნდაც იტალიურ ან თურქულ ენებს შორის. მათი შესწავლა ჩვენს მოსწავლეებს მეშვიდე კლასიდან შეეძლებათ.

წლევანდელი სასწავლო წლის სიახლეა ისიც, რომ წელს ჩვენს სკოლებში ორი ახალი საგნის სწავლება შემოდის, მეოთხე კლასებში ქართული ცეკვის გაკვეთილები, — კვირეული 1 საათის დატვირთვით და მეთერთმეტე კლასებში ისწავლიან საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების გაკვეთილებს, რომელსაც გადამზადებული პედაგოგები ჩაატარებენ. ამასთან, მართვის მოწმობებს ისინი მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუკი ჩააბარებენ სათანადო გამოცდებს.

**— სკოლებში არჩევითი საგნის სწავლების შემოღების შესახებ რას გვეტყვით?**

— ჩვენი სკოლების სინამდვილეში ინერგება ახალი არჩევითი საგნის — მსოფლიო კულტურის სწავლება, რაც ჩემის აზრით, უფრო გააფართოებს ჩვენი მოსწავლეების თვალსაწიერსა და ცოდნას მსოფლიოს ქვეყნების კულტურის შესახებ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახის მოსწავლეებს უფასო სარგებლობაში გადაეცემათ სახელმძღვანელოები, ხოლო ის პირველკლასელები, ვინც სკოლებში 15 მაისამდე დარეგისტრირდა, ასევე უფასოდ მიიღებენ პრეზიდენტის შეპირებულ საჩუქრებს — ახალ ნოუთბუქებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული სადღეისო მონაცემებით, საგარეჯოს რაიონში ასეთი 664 ბავშვია აღრიცხული.

**— რას გვეტყვით გასული სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებზე და ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ ეროვნულ გამოცდებში ჩვენი აბიტურიენტების წარმატებებზე?**

— გასული სასწავლო წელი ჩვენმა ბევრმა მეთორმეტეკლასელმა გააცილა წარმატებით. მათგან 22 წარჩინებული დაჯილდოვდა მედლით, რომლებიც მათ თელავის პირველ საჯარო სკოლაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ გადასცათ. მართალია სახელმწიფო ეროვნულ გამოცდებში ჩვენი აბითურიენტების მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ მიგვიღია — (თუ ვინ და რა დაფინანსება მიიღო), მაგრამ ვიცი, რომ ბევრი მათგანი ჩაირიცხა ამ სასწავლებლებში და სასიხარულო და აღსანიშნავია, რომ მათ ეს სკოლის დამთავრების პირველსავე წელს შეძლეს. რამდენადაც ვიცი მათ შორის ყველა მედალოსანიცაა.

**— როგორც შევიტყვეთ მათ შორის ჩვენი რაიონის არაერთი აზერბაიჯანულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებიც მოხვდა არა?**

— ასეთებიც არიან. ისინი სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში მოხვდნენ, რაც ამ სექტორში ძალზე წარმატებულად მიმდინარეობს.

ამ პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულები ერთი წლის მანძილზე ისწავლიან და სრულყოფენ ქართული ენის ცოდნას, შემდეგ კი გააგრძელებენ სწავლას ქართულ ენაზე.

**— ახალი სასწავლო წლის სიახლედ ალბათ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ამ წლიდან ჩვენს მოსწავლეებს სწავლა-განათლების მიღება ახლად სერტიფიცირებული პედაგოგების მეშვეობით მოუხდებათ. რას გვეტყვით, როგორ ჩაიარა პედაგოგთა ამჟამინდელმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა?**

— გასულ წელს, როცა მასწავლებელთა პირველი სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდა, რაიონში თვრამეტი სერტიფიცირებული პედაგოგი გვყავდა. წელს მათი რიგები კიდევ უფრო შეივსო. თითქმის ყველა ჩვენს საჯარო სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომლებსაც გაეზრდებათ ანაზღაურება და ხელფასზე დანამატის სახით 75 ლარი მიეცემათ.

**— რამდენადაც ვიცი ახალი სასწავლო წლისათვის თითქმის ყველა საჯარო სკოლაში გატარდა ღონისძიებები მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა თუ ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესების მიზნით...**

— რა თქმა უნდა. ახალ სასწავლო წელს ჩვენი სკოლები განახლებული ინფრასტრუქტურითაც ხვდებიან. სკოლების ნაწილმა თავისი სახსრებით ჩაატარა კოსმეტიკური რემონტები, ბადიაურისა და ბოგდანოვკის სკოლების რემონტზე კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოყო თანხები. კერძოდ, ბადიაურის საჯარო სკოლაში მოწესრიგდა სამასწავლებლო, ბოგდანოვკის სკოლას მთლიანად შეეცვლება სახურავი, კარ-ფანჯრები და სხვა. ყველა იმ სამუშაოს ჩამოთვლა, რაც ჩვენს სკოლებში განხორციელდა, შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყველა სკოლა მოწესრიგებული ხვდება ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

**და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივულოცო ახალი სასწავლო წლის მობრძანება ყველა ჩვენს მოსწავლეს, მათ აღმზრდელ-პედაგოგებს, განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებს, ვუსურვო ახალ-ახალი მიღწევები და წარმატებები ამ დიდმნიშვნელოვან და საქვეყნო საქმეში.**

*ესაუბრა: გივი დაბახიშვილი*

# მწერის ნაკბენი სახიფათოა

**ბ**ოლო დროს ფუტკრის ნაკბენიც კი საშიში გახდა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

ამას თავად მეფუტკრეებიც ადასტურებენ, რომლებიც ადრე ამტკიცებდნენ — ფუტკრის ნაკბენი უამრავ დაავადებას განკურნავსო და გვისახელებდნენ — უპირველესად სახსრების ანთებას.. ახლა კი თავად ისინიც ცდილობენ აგრესიები არ გამოიწვიონ ფუტკარში და ნაკბენის შემთხვევაში მიიღონ პროფილაქტიკური ღონისძიებები.

სულ ახლახანს კი საგარეჯო შეძრა ახალგაზრდის მოულოდნელმა გარდაცვალებამ, რომელიც კრაზანის ნაკბენმა გამოიწვია. ხალხი პანიკამ მოიცვა — შემოდგომაზე უამრავი ხილი მწიფს, მას ფუტკარიც ეტანება და კრაზანაც. ამდენად დანესტვრის სრული შესაძლებლობაც არსებობს. მწერის ნაკბენს ბევრი ყურადღებას არ აქცევს — მიმართავს ხალხურ საშუალებებს, ნაკბენზე ცივი საგნის დადება, გასრესილი ოხრახუშის ფოთლების დაფენა, მარილწყლიანი საფენები, ერთი სიტყვით, რაც ირგვლივ არის, ნაუცბათევად. მაგრამ, ზემოთ აღვნიშნეთ, ახლა მხოლოდ ხალხური საშუალებების გამოყენება აღარ კმარა, სოფლის მეურნეობაში ბოლო პერიოდში გამოყენებულმა ჰერბიციდებმა თუ შესაწამლი მასალების ფართო არჩევანმა მართლაც საშიში გახადა მწერის ნაკბენიც. რედაქცია *საგარეჯოს პოლიკლინიკა-ამბულატორიის გაერთიანების ექიმ-დერმატოლოგს* **ქეთევან ქურდიანს** დაუკავშირდა ამ საკითხთან დაკავშირებით. აი, რა გვითხრა ქალბატონმა ქეთევანმა:

— მწერის — ფუტკრის, კრაზანის ნაკბენი იწვევს ადგილობრივ დერმატიტს, იმ ადგილის თანდათან შეშუპებას, სადაც მოხდა მწერის მიერ დანესტვრა. მწერის დანესტრულზე აუცილებელია ადრენალინის საფენების დადება, ანტიჰისტამინური საშუალებებიდან რომელიმე მედიკამენტის მიღება, თუნდაც სუპრასტინის, ალერინის. მაგრამ, გვახსოვდეს, აუცილებელია მან მიმართოს ექიმს, რათა მკურნალობა სწორად წარიმართოს, ექიმმა სამკურნალოდ ჩარიოს სერიოზული სამკურნალო საშუალებები. ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია გადასხმის დადგმა, ჰორმონალური პრეპარატების საჭიროებისდა მიხედვით შერჩევა.

ასე, რომ მწერის დანესტვრა სულაც არ არის უყურადღებოდ დასატოვებელი. მაშინვე მიმართეთ ექიმს, რათა თავიდან ავიცილოთ ის გართულებები, რომლებიც მას შეიძლება მოჰყვეს.

**ს**აგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის, უფროსი ლეიტენანტის, **მირიან დოლონაძის** განმარტებით, საშემოდგომო გაწვევას, ამჯერად 125 წვევამდელი ექვემდებარება. უკვე ჩარიცხულია 26, 7 სექტემბრისათვის (ინტერვიუ ჩაიწერა 6 სექტემბერს- თ.ი.), 5 წვევამდელი იქნება ჩარიცხული. ე .ი. სექტემბერში სულ 31

**— ალბათ თვეების მიხედვით ნაწილდება დანარჩენიც?!**

— რა თქმა უნდა, გეგმა-გრაფიკია საამისოდ შედგენილი. სექტემბერში 31 წვევამდელია გასაწვევი, ოქტომბერში — 30, ნოემბერში გაწვევა არ მოხდება და დარჩენილი 64 წვევამდელის გაწვევა მოხდება დეკემბერში.

**— ვთქვათ, არ გამოცხადდა წვევამდელი, რა ზომების მიღება ხდება ამ დროს?**

— თუ ჩვენი სამსახურის თანამშრომელმა უწყისი ხელში ჩააბარა წვევამდელს, მაგრამ იგი არ გამოცხადდა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში, მაშინ მისი საქმე გადაეცემა სასამართლოს და იგი საკმაოდ სოლიდური თანხით — 1000 ლარით დაჯარიმდება. თუ ძებნის საჭიროებაა, მაშინ მათი საქმე უკვე შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას ეგზავნება და ცხადდება მათზე ძებნა.

# საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

**— როგორც ცნობილია, დაწესებულია მოსაკრებელი, რა თანხაა ეს და რა შემთხვევაში მოქმედებს იგი?**

— თუ წვევამდელს გარკვეული მიზეზების გამო გაწვევის გადავადება სურს, ეს ვადა არის 1,5 წელიწადი და მან მოსაკრებლის სახით 2 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. საშემოდგომო გაწვევა გადაავადა 5 წვევამდელმა და შესაბამისი მოსაკრებელიც გადაიხადა.

**— საგაზაფხულო გაწვევისას თუ მოხდა წვევამდელისაგან გადავადება?**

— საგაზაფხულო გაწვევა შეეხო 187 წვევამდელს. მათგან 92 წვევამდელი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. მოსაკრებელი გადაიხადა 15 პიროვნებამ. 67 წვევამდელი შს რაიგანყოფილების მიერ გამოცხადდა ძებნილად.

**— რა შემთხვევაში ხდება წვევამდელი დაწუნებული?**

— როგორ გითხრათ, თითოეული წვევამდელი გადის სამედიცინო შემოწმე-

*დასასრული მე-8 გვერდზე*

## ღირსეული ჯილდო

# კაცი, რომელსაც ყველა იცნობს



ამ კაცს ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი აზერბაიჯანული მოსახლეობა და მთელი თუ არა, ნახევარი საგარეჯო მაინც იცნობს. სურათის მიხედვით მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ლაპარაკია ჩვენს კოლორიტ აზერბაიჯანელ თანამოქალაქეზე, თავთიხ გაჯიევზე, კაცზე, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ჩვენი საზოგადოებისა და საქვეყნო საქმიანობის შუაგულში ტრიალებს და იღწვის.. სწორედ ამ საქმიანობით არის ის ცნობილი და დაფასებული. ამასწინათ კი, ყველაფერ ამას, კიდევ ერთი დიდი, საქვეყნო აღიარება და ღვაწლის დაფასება მოჰყვა. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 ივლისის განკარგულებით თავთიხ გაჯიევი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. საქართველოს პრეზიდენტის ეს ჯილდო, მას თელავში კახეთის გუბერნატორმა კახეთის სხვა დაჯილდოებულებთან ერთად გადასცა.

მაინც ვინ არის თავთიხ გაჯიევი და რა ცხოვრების გზა გაიარა ქვეყნის ამ მაღალი ჯილდოს მისაღებად?

ქეშალოში, 1948 წელს დაბადებულმა და დაჭაბუკებულმა იორმუღანლოს საშუალო სკოლა 1965 წელს დაამთავრა და თვისტომებისა და მამა-პაპათა ტრადიციული საქმიანობის - მეცხოველეობის გაყოლის ნაცვლად, უმაღლესი განათლების მიღება დაისახა მიზნად. იმავე 1965 წელს ჩაირიცხა და 1971 წელს დაამთავრა ბაქოს ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1973 წელს იგი მშობლიური იორმუღანლოს საშუალო სკოლის ორგანიზატორად დაინიშნა, სადაც სამი წლის შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ გადაიყვანეს.

1985 წლიდან იგი უკვე ამ სკოლის დირექტორი და წარჩინებული მასწავლებლის წოდების მფლობელია. იმავე წლის ბოლოდან იგი პარტიის საგარეჯოს რაიკომში ინსტრუქტორად და რაიონის აზერბაიჯანული სოფლების კურატორად გადაჰყავთ. ამ პოსტზე მან ორ წელიწადს იმუშავა, 1987 წლიდან კი ჯერ ლამბალოს მევენახეობა-მერძევეობის, შემდეგ კი იორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად იმუშავა. იმავე წლებში დაუსწრებლად დაამთავრა განჯის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი.

1990 წელს უნარიან, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული და გამოცდილ სამეურნეო მუშაკს იორმუღანლოს თემის გამგებლად ნიშნავენ.

2004 წლიდან თავთიხ გაჯიევი რაიონულ გამგეობაში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის საკითხების მთავარი სპეციალისტია.

2010 წლიდან მას ისევ იორმუღანლოს ხელმძღვანელობა მიანდეს. სწორედ ამ პოსტზე ყოფნისას მიენიჭა მას ეს მაღალი ჯილდო. რედაქციაში მოსულ ბატონ თავთიხს ჩვენ მივულოცეთ მისი ღვაწლის ესოდენ დაფასება და რამდენიმე კითხვით მივმართეთ სოფლის სადღეისო პრობლემებზე..

**– თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე თქვენ, თავთიხ გაჯიევს ბევრი წარმატება და სიხარული გინახავთ. ამ ბოლო სამსახურში ღირსების ორდენის მიღების გარდა კიდევ რა იყო თქვენთვის სასიხარულო და აღსანიშნავი – მეთქი? – შევეკითხე.**

– კაცი, როცა რაიმე საქვეყნო საქმეს აკეთებს და იმ საქმეს ხალხი ხედავს და აფასებს, ადამიანისათვის იმაზე მეტი ჯილდო და სიხარული არ არსებობს. მიხარია, რომ იორმუღანლოში ჩემი რწმუნებულად მუშაობის პერიოდში ხალხის საკეთილდღეო ბევრი კარგი საქმე გავაკეთე და მასში ჩემი მცირეოდენი წვლილიცაა. თუ ამ ორი-სამი წლის წინ ჩვენს სოფლებში ერთხელ მაინც გიმოგზაურიათ, ნამდვილად დაგეზარებოდათ იქ მეორედ გავლა მწყობრიდან გამოსული, ოღროჩოღრო, 'იამკიანი" გზის გამო. 2010 წლის ბოლოსათვის კი იორმუღანლოსა და სხვა სოფლების მოსახლეობის ამ პრობლემას ბოლო მოეღო, დაიგო სოფლის შესასვლელამდე ასფალტიანი გზა, ორმულად შეკეთდა და მოსწორდა დუზაგრამისაკენ მიმავალი სასოფლო გზა. მოიხრეშა და მოსწორდა სასმელ წყალთან მისასვლელი გზა.

ყველამ და თქვენც კარგად უწყით, თუ რა პრობლემას წარმოადგენს ჩვენი მოსახლეობისათვის სასმელი წყლით მომარაგება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად წინა წლებში გადადგმულ ნაბიჯებს, წელს ორი ახალი საქმე შეემატა. იორმუღანლოს ორ სხვადასხვა უბანში გაიბურღა ორი ახალი ჭაბურღილი, საიდანაც მოსახლეობას უკვე მიეწოდება სასმელად ვარგისი წყალი, რომელიც შემოწმებულია და გვაქვს შესაბამისი დასკვნა. სამომავლოდ გადაწყვეტილია ამ პრობლემის გადასაჭრელად კიდევ 3-4 ჭაბურღილის მოწყობა, რითაც ყველა უბანს ექნება საკუთარი სასმელი წყალი. ასევე, დაწყებულია დუზაგრამიდან კაზლარამდე მიმავალ წყალსადენზე საუბნო ონკანების მოწყობის სამუშაოები. განა სასიხარულო და საამაყო არაა ის, როცა იცი, თუ რა მდგომარეობა იყო აქ ამ ათი და თუნდაც ხუთი წლის უკან?!

***– ამ გვალვიანი ზაფხულის პირობებში, სარწყავი წყალი თუ მიეწოდება სოფელს?***

– კი, ამ მხრივ რაიმე პრობლემები არაა.

***– მოსახლეობის გაზიფიცირებაზე რაღას გვეტყვით?***

– რაიონის ყველა აზერბაიჯანულ სოფლებში და მათ შორის ჩვენთანაც რა ხანია დამთავრებულია გაზიფიცირების სამუშაოები. კომპანია „სოკარ-ჯორჯია-გაზმა" უსასყიდლოდ მოახდინა ჩვენი სოფლების მთლიანი გაზიფიცირება, ახლა მსურველებზეა დამოკიდებული თუ ვინ შეიყვანს ინდივიდუალურად აირს, რისი გაკეთებაც მათ უკვე საკუთარი ხარჯებით მოუწევთ . სადღეისოდ კი იორმუღანლოში უკვე 40 ოჯახს აქვს შეყვანილი გაზი სახლებში.

***– მოსახლეობის სავაჭრო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობებზე რა გვეტყვით?***

– ამ მხრივ იორმუღანლოელებს სამდურავი არ გვეთქმის; სოფელს ნამდვილად არ აკლია ამ დანიშნულების ობიექტები, სადაც სურსათთან ერთად შესაძლებელია შეიძინონ საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო მასალები, მოქმედებს ერთი აგრარული ბაზარი. ახლადდაგებული და შეკეთებული გზები კი დედაქალაქისა თუ ქვეყნის ნებისმიერ ადგილთან შეუძლიათ დაკავშირება და ნებისმიერი სასურველი რამის შეძენა.

***– რამდენადაც ვიცი, უწყვეტი, 24 საათიანი ელექტრომომარაგებაც გაქვთ, თუმცა მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მოსახლეობისა არ იყოს, თქვენებურებიც ჩივიან კახეთის ენერგოდისტრიბუციის საგარეჯოს „სერვისცენტრის" მიერ მრიცხველის ჩვენების ზევით დაწერებული გადასახადების გამო. რა ხდება, ბოლოს და ბოლოს არ დაიწყო მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, როგორც ამას ამ სერვისის ხელმძღვანელი გპირდებოდათ ამასწინათ?***

– არა, ეს სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა და ჩვენს მოსახლეობას ათასგვარ პრობლემებს უქმნის. არის ასეთი კურიოზებიც, როცა ჯერ ზედმეტად დააწერენ გადასახადს, მერე კი აღმოჩნდება, რომ გადასახადი არასწორად დაარიცხეს და არაფერს გვახდევინებენ. როგორც ჩანს, იქ ყველაფერი თავის ადგილზე არაა. ახალი ხელმძღვანელი კი შეგვპირდა საქმის შესწავლას და გამოსწორებას, მაგრამ დააცდიან ამას თუ არა, ესეც საკითხავია. ამიტომ არის, რომ მოსახლეობა საკუთარი ხარჯებით იძენს და ამონტაჟებს ახალ ინდივიდუალურ მრიცხველებს, თუმცა მათთანაც ხდება აღნიშნულის მსგავსი დარღვევები. არ ვიცი, როდემდე გაგრძელდება ასე, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ ამ პრობლემასაც მოევლება და მოსახლეობა საბოლოოდ დაისვენებს ამ დავიდარაბისაგან.

***გივი დაბახიშვილი***

# საქმე პირადი აფიშირებისათვის არასოდეს მიკეთებია...



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შიბლიანელთა რჩეულის – თენგიზ ძირკველიშვილის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ, მისი, როგორც ამ პოსტზე, ისე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარეკახეთის სოფლის მეურნეობის რეგიონალური სამმართველოს უფროსად მუშაობისას. მის ამ ხასიათს შეამჩნევდა ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც ჰქონია რაიმე შეხება, ან საუბარი ამ დინჯ, გაწონასწორებულ ადამიანთან.

– საქმე თვითონ გამოგაჩენს,ამას ლაპარაკი და აფიშირება არ სჭირდება, ხალხი, სოფელი, გონიერია და შენს ნაღვაწს და ნამსახურს სათანადოდ დააფასებსო, – უთქვამს ხშირად.

აფასებენ კიდეც – სოფელს სჯერა და მუდამ გვერდში უდგას თავის რჩეულებს საქვეყნო საქმეში, ამ ზაფხულს კი მისი ღვაწლი საქვეყნოდ აღინიშნა – საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 14 ივლისის განკარგულებით, თენგიზ ძირკველიშვილი, ქვეყნის სხვა რჩეულებთან ერთად ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

ასე დაგვირგვინდა 2006 წლის 5 ოქტომბრის და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების დღიდან დღემდე მის მიერ სოფლის სასიკეთოდ გაწეული შრომა.

დაიბადა 1966 წლის 23 მარტს, 1981 წელს დაამთავრა შიბლიანის რვაწლიანი სკოლა, 1984 წელს კი №137 პროფტექსასწავლებელი მექანიზაციის სპეციალობით. ამ დღიდან მოყოლებული, რამდენიმე წლის გამოკლებით, სულ სოფელში ტრიალებს ძირის-ძირობამდე იცის მისი საწუხარი, თანასოფლელთა ავ-კარგი, პრობლემები და მათი მოგვარების გზები. ერთხანს თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოში იმუშავა მძღოლად, მაგრამ შიბლიანს შეჩვეულმა დიდხანს ვერ გაძლო დედაქალაქში და ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ჩაება სოფლის ყოველდღიური შრომის ფერხულში.

2006-2007 წლებში იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური პარტიის" ფრაქციის თავმჯდომარე, 2007-2008 წლებში – გარეკახეთის სოფლის-მეურნეობის რეგიონალური სამმართველოს უფროსი, ამჯერად საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალების" თავმჯდომარეა, ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

სოფლის ავ-კარგში და პრობლემების მოგვარებაში ადრეც აქტიურობდა, ორგზის დეპუტატისათვის ეს საქმე უპირველეს მოვალეობად იქცა. რაიონის ხელმძღვანელობის მხრიდან „მხარდაჭერა" და „გასაქანიც" მიეცა და სოფლის რწმუნებულ პაატა ჭამიაშვილთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა დაგროვილი პრობლემების მოგვარებას. შეიცვალა ე. წ. „მუხის წყაროს" წყალსადენის მილები, სოფლის ცენტრში დაიდგა წყლის რეზერვუარები „კვირაცხოვლის" ხევზე გაკეთდა ბეტონის ბოგირი, შეკეთდა „ზვრის" უბნის სასმელი წყლის სათავე, შეიცვალა მილები, გაკეთდა ახალი საბავშვო ბაღი, ფუნქციონირება განაახლა სამედიცინო ამბულატორიამ და დაინიშნა სოფლის ექიმი, გაკეთდა ჭაბურღილი და საუბნო წყალი, მოასფალტდა სოფლის გზა, გაიწმინდა სოფლის ხევები და ბოგირები. უახლოეს ხანებში დაიწყება ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა.

მისი თაოსნობითა და საქმეში ჩარევით სოფლის სოციალურად დაუცველმა არაერთმა ადამიანმა შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა და გაუმჯობესება; თემურ ხუროშვილს, – ხერხემალზე, კახა ძირკველიშვილს – აპენდიციტის, მარიკა ჭამიაშვილს – თირკმელზე, თამარ გოგალაძე-კოლოტაძეს – საკეისრო ოპერაციები ჩაუტარდათ სახელმწიფო დაფინანსებით. სოფლის ძალებითა და შემოწირულობებით აღდგა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

თენგიზ ძირკველიშვილი, რწმუნებული პაატა ჭამიაშვილი იყვნენ პირველები, ვინც შიბლიანელებს გაუძღვა მიმდინარე წლის 21 აგვისტოს წყალდიდობით დანგრეული სოფლის სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის აღსადგენად. არა და, ყველა სათავე დანგრეული იყო, სოფელი სულ მთლად წყლის გარეშე იყო დარჩენილი და მარტო სამთავრობო დახმარების მოლოდინში ყოფნა არ გამოადგებოდათ.

– ღმერთმა უშველოს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას, თენგიზ ძირკველიშვილს და პაატა ჭამიაშვილს, რომ სოფლის ხევები და სანიაღვრე არხები ადრე გაწმინდეს, თორემ ამ წყალდიდობის დროს მთელი შიბლიანს წყალი წაიღებდა, იმხელა ხევები მოვარდა. სოფლის ცენტრში წყლის სიმაღლე 1,5 – 2 მეტრამდე მაინც იქნებოდა და ხევში ჩაწყობილ ბეტონის ფილებს ტალღებზე ქაღალდის ფურცლებივით ატრიალებდა, იმ წყალს რომ გასაქანი არ ჰქონოდა, მოსახლეობას ათმაგად მეტ ზარალს მიაყენებდა, – იხსენებენ შიბლიანელები. ზარალი კი, არცთუ ცოტა მიაყენა სტიქიამ ამ სოფლის მოსახლეობას: დაინგრა ხევზე არსებული ბოგირი, წყალმა წაიღო გზის ასფალტის საფარი, 7 ჰექტრამდე ვენახი, ბოსტნები, მწყობრიდან გამოიყვანა საუბნო გზები, წყლის სათავე-ნაგებობები და საუბნო ქსელები, დაიხოცა პირუტყვი, ფრინველები...

ერთი სიტყვით პრობლემაზე-პრობლემა და საწუხარზე-საწუხარი მიემატათ შიბლიანელებსა და მათ რჩეულს, ყველაფერ ამას კი მოვლა-პატრონობა, თავის პირვანდელ სახემდე მიყვანა სჭირდება. ამიტომაც იყო, რომ 'გარეჯის მაცნეს" რედაქციაში მოსულმა თენგიზმა ამ ჯილდოს ხეირიანად მილოცვაც არ გვაცალა, მხოლოდ რამდენიმე აუცილებელ კითხვაზე გაგვეცა პასუხი და საჩქაროდ შიბლიანისაკენ გასწია „გაზეთში ჩემს შესახებ წერილის დაწერაზე უფრო საჭირო და აუცილებელი საქმეები სოფელში მელოდებაო, თქვა...

აი, რატომ უყვართ და აფასებენ მას შიბლიანელები... ღმერთმა ხელი მოუმართოს მას თანასოფლელთა ამ ნდობის ბოლომდე გამართლებასა და საქვეყნო საქმეების კეთებაში

***გივი დაბახიშვილი.***

# გზა სტუდენტობისაკენ



მისთვის ყოველი დღე დატვირთული იყო სკოლის თუ სკოლისგარეშე ცხოვრებისეული საქმიანობით, სულ იმის ძიებაში იყო, კიდევ გაემდიდრებინა ცოდნის არეალი, არაფერი დარჩენოდა ამოუცნობი და დაუზუსტებელი. ერთიანი ინტერესით ეუფლებოდა სასკოლო საგნებს: ისტორიასა თუ გეოგრაფიას, მათემატიკას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას, მაგრამ მისთვის დღესაც ყველაზე ძვირფასი და ახლობელი მშობლიური ქართული ენაა.

ამ 12 წლის მანძილზე იყო სასკოლო ღონისძიებების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რაიონული თვითმმართველობის თავმჯდომარე. მისი შრომითი ბიოგრაფია სავსეა სწავლაში მიღწეული წარმატებებით, სიგელებით, დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსებიდან, ფესტივალებიდან.

ანი მოსიაშვლმა სწავლის ბოლო დღეებშიც მიიღო მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში და გამარჯვებული გამოვიდა რაიონის სახელით. დღეს ანი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელია.

– ჩემს ყოველ გამარჯვებას, ჩემს მშობლებს ნანა სიმონიშვილსა და ზაქარია მოსიაშვილს, ჩემი სკოლისა და რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებს ვუმადლი. მადლობელი ვარ თითოეული მათგანის, განსაკუთრებით კი ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ნატო ჩუნთიშვილისა და გულიკო რევაზიშვილისა. სწორედ მათი თანადგომითა და ხელშეწყობით მონაწილეობა მივიღე საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარებულ ოლიმპიადაში დევიზით - „ჩემი ენა ქართული“, სადაც ჩემთან ერთად მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის სკოლების მე-11-12 კლასების 400-მდე მოსწავლე. კითხვები პროგრამული მასალებიდან იყო შედგენილი და მის მიზანს წარმოადგენდა გამოევლინა ისეთი მოსწავლეები, რომლებიც კარგად ფლობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, იყო საკითხები გრამატიკიდან.

***– ანი, ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე გქონდა გამოძახება საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტიდან.***

– კი გამოძახება მქონდა შედეგების გასაცნობად და დასაჯილდოებლად. აქ მეორე ადგილი მომანიჭეს და...

– ***ჯილდოდ***?

– ჯილდოდ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ჩემთან ერთად ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გულიკო რევაზიშვილიც დააჯილდოვეს. მას შესაბამისი სერთიფიკატი, მე კი აიპოდი გადმომცეს. ამასთან ერთად მესამე ტურში გადასულ ბავშვებს საქართველოს უნივერსიტეტმა სამდღიანი შეხვედრა მოგვიწყო ბაზალეთის სასწავლო ბაზაში, ჩატარდა ლექციები ამავე უნივერსიტეტის ლექტორთა მიერ, დავათვალიერეთ თავისუფალი უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიები. ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი იქიდან.

***– ანი მახსოვს, შენ ერთ-ერთმა პირველმა მოგვილოცე ჩვენი მკითხველებიდან გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლა. მაინც რა ადგილი უჭირავს გაზეთს შენს ცხოვრებაში?***

– რაიონული გაზეთები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის, მათი სასკოლო ცხოვრების გაშუქებასა და სტიმულირებისათვის. მიხარია, როცა მისი ფურცლებიდან ვეცნობი წერილებს ჩემი თანატოლების შესახებ. ვკითხულობ ჩემი რაიონის ისტორიულ წარსულზე, გამოჩენილ ადამიანებზე, არ მეგულება ადამიანი, ვისაც თავისი რაიონის დღევანდელობა არ უხაროდეს. მეც მიყვარს, ჩემი ქალაქი და ჩემი საგარეჯოელები და ამ სიყვარულში თქვენი გაზეთი მეხმარება, მინდა უფრო ახლოს გავიცნო და გავიგო ყველაფერი მათ შესახებ.

**გილოცავთ ანი სტუდენტობას და გისურვებთ მომავალში ამჯერად უკვე შენს საოცნებო უნივერსიტეტში, რომლის კარსაც უახლოეს დღეებში შეაღებ, მრავალჯერ გესახელებინოს თავი. გულიკო მასწავლებელს კი მრავალი შენისთანა მოსწავლის აღზრდას და ჯანმრთელობას.**

***ესაუბრა გია აბულაძე***

# KARAOKE PARTY – ყველა მღერით!

26 აგვისტოს საგარეჯოს ახლაგაზრდულ ცენტრში მოეწყო მუსიკალური საღამო – კარაოკე პარტი. საღამო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეჯოს ახალგაზრდული ფრთის კულტურის კომიტეტის მიერ იყო ორგანიზებული.

საღამოს კონკურსის სახე ჰქონდა, მონაწილეობდა სულ 6 გუნდი, თითოეულში სამი მონაწილე. მუსიკალური კონკურსის მსვლელობას აკვირდებოდა და აფასებდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეჯოს ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე ამირან სონიშვილი; საგარეჯოს ვოკალური სტუდიის ხელმძღვანელი ქ-ნი მარინა ურდულაშვილი; ხელოვნებათმცოდნე თაკო ყორღანაშვილი. საღამოს უძღვებოდნენ კულტურის კომიტეტის წევრები ანი მოსიაშვილი და ეთერ ივანელაშვილი. მუსიკალურ გაფორმებას უზრუნველყოფდა გიორგი მეკოკიშვილი. აქვე მადლობას ვუხდით კულტურის კომიტეტის სახელით ვანო თოლომაშვილს, ტექნიკური მხარდაჭერისათვის.

სამი ძალიან მხიარული და საინტერესო ტურის შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი: ნინო ლაფერაშვილი, მარი დარბაისელი და ქრისტინე გორგილაძე. მათ გადაეცათ საპატიო სიგელები.

მაყურებელი ძალიან კმაყოფილი დარჩა და გამოთქვა სურვილი, რომ ასეთი ტიპის საღამოები მომავალშიც გაგრძელდეს. გაჩნდნენ მუსიკალურ საღამოზე მონაწილეობის მსურველებიც.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეჯოს ახალგარზდული ფრთის კულტურის კომიტეტი მომავალში ბევრ სახალისო და საინეტრესო ღონისძიებას გპირდებათ.

***ანი მოსიაშვილი***

# კომპიუტერი — მტერი თუ მოყვარე?!

XXI საუკუნე ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა ქვეყნის მასობრივი კომპიუტერიზაციით, ჯერ კიდევ ამ 10-15 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა თუ ასეთი სწრაფი ტემპით მოიკიდებდა ფეხს ჩვენში კომპიუტერი. იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კომპიუტერმა ჩვენს ცხოვრებაში, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია თითქოს.. საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი, ე. წ. ინტერნეტი საშუალებას გვაძლევს ვიხილოთ და გავეცნოთ მსოფლიოს მაჯისცემას, უსწრაფესად გავიგოთ მსოფლიოს უახლესი ამბები, თუნდაც ჩვენი ხმა მივაწვდინოთ ჩვენს ახლობლებს დედამიწის ნებისმიერ წერტილში. გავეცნოთ ინფორმაციებს მსოფლიოს ხალხების შესახებ ნებისმიერ თემაზე. ეს გონიერი მანქანა გახდა ქვეყნის მართვის მთავარი მამოძრავებელი ატრიბუტი. საქართველოში ტექნიკური პროგრესის განვითარებამ მოსახლეობის თითქმის ნახევარს საშუალება მიცა ესარგებლა ამ სიკეთით. ჩვენი ქალაქის სინამდვილეში ყოველ მესამე-მეოთხე ოჯახში უკვე დგას კომპიუტერი. ყველა სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა როგორც ქვეყნის, ისე მისი ხალხის ცნობიერების განვითარების საქმეში.

ამ დიდი სიკეთის დამკვიდრებას თან მოჰყვა არასერიოზული დამოკიდებულება კომპიუტერის მიმართ, რომელსაც სიკეთესთან ერთად დიდი ზიანის მოტანა შეუძლია (და უკვე შეძლო კიდეც) საზოგადოებისათვის, რაც უკვე შემაშფოთებელიცაა და საგანგაშოც. ეს მავნე შედეგები ჩვენს ყოველდღიურობაში უკვე აისახა. საქმე იმაშია, რომ კომპიუტერის არასწორად და მასთან გადაჭარბებულმა ურთიერთობამ თავისი გავლენა იქონია ჩვენს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კომპიუტერს იმისათვის კი არ ყიდულობს, რომ მისგან რაიმე ცოდნა მიიღოს, არამედ ყიდულობს იმისათვის, რომ ბავშვების სწრაფვა და გაუთვითცნობიერებელი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. იმძლავრა მიმბაძველობამ, (იმას რომ აქვს მეც მინდა მქონდეს, მაგრამ... რისთვის? ოღონდ თავიდან მოიცილონ ბავშვები ჭკვიანად იყვნენ, რომ ქუჩაში არ გავიდნენ, და სხვა რაც უნდა ის მოიმოქმედონ – ასე თვლიან მშობლები). უმეტეს შემთხვევაში ბავშვებს არ შეუძლიათ არც ასაკის და არც ენის უცოდინარობის გამო მისი მართვა და მხლოდ კლავიატურაზე თითის დაჭერითა და „მაუსის“ უაზრო მოძრაობით ირთობენ თავს, და ამით გამოჰყავთ კომპიუტერი მოქმედებიდან, რომლის შესახებ მომისმენია უკვე მრავალგზის.

შეწუხებული მშობლებისაგან ყოველი ფეხის გადადგმაზე გაიგონებთ სინანულს, რომ მათ შვილებს ცუდი სამსახური გაუწიეს – შეუძინეს კომპიუტერი და მხოლოდ ახლა ხვდებიან, რომ შეცდომა დაუშვეს, რამაც ცუდი გავლენა იქონია მათი შვილების სულიერად ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ იმ თამაშების დამსახურებაა, რომ ვეღარ ცნობენ თავიანთ შვილებს, რომ ისინი გათენებამდე სხედან კომპიუტერთან, თამაშობენ ქსელურ თამაშებს და ათასგვარ მათი ასაკისათვის მიუღებელ ფოტო თუ კინომასალას. რის გამოც ისინი თავიანთ თავს აღარ ეკუთვნიან, ხასიათი შეიცვალეს უარესობისაკენ... იმისათვის, რომ უფრო დავაკონკრეტო ჩემი სათქმელი, მოვიყვან რამდენიმე მშობლის ნათქვამს:

– ფსიქოლოგი გახლავარ და ჩემს შვილებზე დაკვირვებით კარგად ვიცი, რომ კომპიუტერული თამაშები მოზარდების ფსიქიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე მავნე გავლენას ახდენს. ისინი შორს არიან რეალური სამყაროსაგან. გამომეტყველება მშრალი და არაფრისმთქმელი უხდებათ. თამაშით გამოწვეულ აზარტს ბავშვები მღელვარებამდე და ილუზიურ სამყარომდე მიჰყავს. ეს თაობა ისე გამოსჭრის კაცს ყელს, ხელი არ აუკანკალდება, რადგან ეს კანკალი უკვე გადატანილი ექნებათ არარეალური სამყაროს ათასობით წარმომადგენლის მკვლელობით. რეალურად ამის არაერთი მაგალითი უკვე გვაქვს მოზარდებში, რასაც თითქმის ყოველდღიურად გადმოსცემენ სატელევიზიო, საინფორმაციო წყაროები, ისინი ნერვული და დაუნდობლები არიან ერთმანეთის მიმართ. სამწუხაროდ, ასეთების რიცხვი იზრდება და თუ დროზე არ შემოვაბრუნეთ ისინი ჩვენსკენ, კიდევაც გაიზრდება მათი რიცხვი უახლოეს მომავალში... (ს. ნ)

– ჩემი 13 წლის შვილი ცდილობს დავალებები სწრაფად მოიშოროს თავიდან, რომ მერე კომპიუტერს მიუჯდეს და ითამაშოს. თუ სახლში არ ვართ, შეიძლება კომპიუტერთან 10 საათი ისე იჯდეს, რომ არ ჭამოს და წყალიც კი არ დალიოს. სახლში რომ მივალ, თვალები ჩასისხლიანებული, დაწვრილებული აქვს ხოლმე და ცრემლი სდის. ცხადია, მაშინვე ვხვდები, ეს რის გამოც დაემართა. ვფიქრობ ეს მის ფსიქიკაზე მოქმედებს. ამ ბოლო ხანს ცოტა აგზნებული და ნერვული გახდა. ჩემი ახლობლის შვილი ზუსტად ისე ურტყავს თავის დას და ახლობლებს, როგორც ამას თამაშის ვირტუალურ გმირებს აკეთებინებს, ზოგჯერ დაუნდობელია და შესაძლო შედეგებზე არ ფიქრობს. (ა. ე.)

– ალბათ დიდი და გაუაზრებელი შეცდომა დავუშვი, მეგონა სიკეთეს ვაკეთებდი მაგრამ, ახლა ვხვდები, რომ მეტი დაფიქრება იყო მაშინ საჭირო. ბავშვი კომპიუტერულმა თამაშებმა გაიტაცა, დაკარგა დროის შეგრძნება და საათობით ზის კომპიუტერის წინ. იგი სხვა სამყაროს გავლენის ქვეშაა მოქცეული, გაოგნებული, გონებაგაფანტული, და შენიშვნებზე აგრესიულია, ვერ იტანს რჩევებს, უხეშობს, ნაკლებ დროს ახმარს სწავლას, ზუსტად იმ ცხოვრებით ცხოვრობს, რასაც იქ ხედავს, და განიცდის. (ბ. რ.)

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავალად შეიძლება. მშობელთა ეს გამონათქვამები ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ერთის. ფაქტია, რომ მართლაც ისე გაიტაცა მოზარდები ამ უაზრო და არ შევცდები თუ ვიტყვი ამ მავნე, მახინჯი სულის მატარებელი ფილმების (ტელე ფილმებისა და კომპიუტერული თამაშების) ყურებამ, რომ იქ ნანახით ჩვენი ერისა და სარწმუნოებისათვის მიუღებელი ყოფა ლამის წესად მიიღონ. ამით მოზარდებში ხდება აგრესიული ფაქტების სწრაფი და არასწორი აღქმა, რასაც ისინი ჩვეულებრივი ცხოვრების წესად თვლიან. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს პროპაგანდას, (ამბობენ: კარგ მთქმელს კარგი გამგონიც უნდაო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში ყველაფერი პირიქით ხდება). ხომ წარმოგიდგენიათ, საბრძოლო თამაშებში მოწინააღმდეგე, განსხვავებული აზრის ადამიანი უნდა მოკლა, გაანადგურო. ეს კი იქიდან გამომდინარე მოზარდებში მიმბაძველობას იწვევს, რასაც ისინი პრაქტიკაში იყენებენ კიდეც, მიუტევებელნი, სასტიკნი და დაუნდობელნი ხდებიან, ხდება მათი სულიერი დეგრადაცია. იმისათვის, რომ მოზარდები დავაშოროთ ამ მავნებლურ ჩვევას, რომელიც ვნებს არამარტო მათ სულიერ, ზნეობრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, დროულად უნდა ჩავერიოთ და ვურჩიოთ, გავარკვიოთ იმ შედეგებში, რაც შესაძლოა მძიმე შედეგებით დამთავრდეს ფსიქიკური და ნერვული გადახრები, მხედველობის გაუარესება, ან სრული დაკარგვა, სულიერი დეგრადაცია განვითარდეს.... ამას წინათ უცხოეთიდან ერთმა ჩემმა ნაცნობმა დამირეკა და მითხრა – შეშფოთებული ვარ, იმ კადრების გამო, რაც ამერიკის ტელევიზიით ვიხილე და მოვისმინე, თუ რა მოსდის მობილური ტელეფონების, ხანგრძლივი კომპიუტერული ზემოქმედების ქვეშ მყოფ მომუშავე ადამიანთა ტვინს, როგორ აჩერებს განსაკუთრებით მოზარდებში მხედველობის განვითარებას ერთ დონეზე და შემდეგ ტვინში სიმსივნის განვითარებას იწვევსო. აქ კომპიუტერისა და ბავშვის ურთიერთობას არეგულირებენ მშობლები და ეს დრო დღეში ასაკის მიხედვით 20 წუთიდან იწყება და მაქსიმუმ მხოლოდ 1 საათს გრძელდებაო.

ეს შემაშფოთებელი ფაქტები დამშვიდების უფლებას ნამდვილად არ გვაძლევს. მშობელი, მასწავლებელი, გაზეთი და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა ჩადგნენ იმის სამსახურში, რომ ვიხსნათ ახალგაზრდობა ჩვენში უკვე დამკვიდრებული ამ მძიმე „დაავადებისგან“, რომელიც არ ვიცით რა შედეგს მოგვიტანს 5-10 წლის შემდეგ, განვუმარტოთ ბავშვებს, შესაძლო შედეგები, თუნდაც ის, რომ კომპიუტერს ამ უსაზღვროდ გონიერ და ყოვლისშემძლე მანქანას გონივრული გამოყენება უნდა. ნუ გადავიღებთ იქ თავმოყრილ ჩვენი ერისათვის მიუღებელ უნარ-ჩვევებს, რომელმაც მხოლოდ ერის დაკნინება, გონებრივი დაჩლუნგება და არაჯანსაღი თაობა შეუძლია დაგვიტოვოს. ამიტომ საჭიროა მოვუსმინოთ ექიმებს, ფსიქოლოგებს, ოფთალმოლოგებს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომელთაც იციან შესაძლო შედეგების შესახებ და ვიხელმძღვანელოთ მათი რჩევებით, რომელთაც სიკეთე და მხოლოდ სიკეთე შეუძლია მოუტანოს ერს.

***გია აბულაძე***

## თემურ კურდღელაშვილი – 50

# კაცი საქმით ფასდება



ხე ნაყოფით, კაცი კი საქმით შეიცნობაო. ადამიანისათვის კი იმაზე დიდი დაფასება და ბედნიერება არ არსებობს, როცა მისი გარჯის ამ შედეგს ქვეყანა ხედავს და აფასებს. სწორედ ასეთი მოსაფერებელი ადამიანია ბ-ნი თემურ კურდღელაშვილი, საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის დირექტორი. კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სპორტს დაუკავშირა და როგორც იტყვიან, სპორტით „სუნთქავს“ და ცოცხლობს.

მართლაც სახელოვანი მამის, მარტო დიდი სამამულო ომის სამგზის „დიდების“ ორდენის, შრომის ფრონტზე კი უამრავი მედალ-ორდენების კავალერის, იოსებ კურდღელაშვილის ოჯახში დაბადებულმა, მეექვსე კლასიდან მიჰყო ხელი ქართულ ჭიდაობაში ვარჯიშს, მაშინდელი საგარეჯოს „მრგვალ“ სპორტულ დარბაზში, მწვრთნელ როინ ყორღანაშვილის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი სამბოსა და ძიუდოსაც ეზიარა.

სახელოვანი მწვრთნელის ნიჭიერი შეგირდი მოწაფეობის დროსვე ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი და სპარტაკიადის ორგზის გამარჯვებული გახდა ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში ჭიდაობა სამბოში (1977 წელს), საქართველოს ჩემპიონი დიდებში და სსრკ მესამე პრიზიორი ჭაბუკებში, ნ.ს.ს. „კოლმეურნეს“ საკავშირო პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი ჭიდაობა სამბოში, საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში, ახალგაზრდებში, და უფროს ასაკში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა წონით კატეგორიებში.

ჭიდაობასა და სპორტზე შეყვარებულმა 1978 წელს სწავლა საქრთველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში გააგრძელა მწვრთნელთა ფაკულტეტზე, პარალელურად ვარჯიშობდა და გამოდიოდა საქართველოში „ბურევესტნიკის“ სახელით. გახდა საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონი და საქართველოს პირველობის (ახალგაზრდებში) მეორე პრიზიორი ძიუდოში 65 წონით კატეგორიაში. ამავდროულად საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში და დიდებში ჭიდაობა სამბოში, მრავალი საკავშირო ტურნირის გამარჯვებულიცაა.

სტუდენტობის პერიოდშივე „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ჩემპიონმა და ინსტიტუტების თასის მფლობელის (როგორც პირად, ისე გუნდურ თამაშებში) ტიტულები ‘მოირგო“ ჭიდაობა ძიუდოში. მინიჭებული აქვს სსრკ სპორტის ოსტატის წოდება ძიუდოსა და სამბოში. ასევე ქართულ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის წოდება.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქტიურ სპორტს ჩამოშორებული საგარეჯოში დაბრუნდა და ქართულ ჭიდაობასა და სამბოში აქაური ახალგაზრდების წვრთნას მოჰკიდა ხელი. არაერთი მათგანი აზიარა ჭიდაობების საიდუმლოებებს. თემური ეს ბოლო ექვსი წელია საგარეჯოს სპორტსკოლას უდგას სათავეში. ყველა, ვინც კი ოდნავ მაინც ჩახედულია გარეჯული სპორტის ცხოვრებაში, მომსწრეა ყველა იმ სასიკეთო ცვლილებებისა,რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში,კერძოდ სპორტსკოლის საქმიანობაში განხორციელდა და ამაში თავისი წვლილი თემურ კურდღელაშვილსაც მიუძღვის, როგორც ამ სკოლის ხელმძღვანელს. მანამდე კი ქართველი ხალხისა არ იყოს, სპორტსკოლის კოლექტივთან ერთად უშუქობის, უწყლობის, სიცივის, გაჭირვების, უხელფასობის პერიოდი მანაც გამოიარა, მაგრამ არასოდეს დაუყრია ფარხმალი, ერთი წუთითაც არ უფიქრია საყვარელი საქმიანობის მიტოვება. ბუნებით მასწავლებელი და ქართული სპორტის თავდადებული მოუვარული არც ახლა, ხელმძღვანელ პოსტზე ყოფნისას ივიწყებს თავის სამწვრთნელო საქმეს, თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემს ყველა სტილის ახალბედა მოჭიდავეებს. სპორტსმენები ვაჟკაცური და საქმის ერთგული ხალხია... ამ შეგნებითა და მიდგომით ეჭიდება ის მინდობილ საქმეს.

ამ დღეებში გარეჯული სპორტის გულშემატკივარ, ქართული სპორტისათვის სახელოვანი შევსების აღმზრდელი კერის თავკაცს 50 წელი უსრულდება, კიდევ მრავალ წელს წარმატებულ საქმიანობას, ჯანმრთელობას, სიმხნევესა და თავისი აღზრდილების წარმატებებით გახარებას ვუსურვებთ ქართული სპორტის წინსვლისათვის მოამაგე ადამიანს.

*გივი დაბახიშვილი*

# საშემოდგომო გაწვევა დაიწყო



**დასასრული**

ბას, სადაც ყველაფერს ექცევა ყურადღება, თუნდაც კანზე ხალს, ყურადსაღებია ისიც, თუ რამდენადაა მოწესრიგებული წვევამდელის პირის ღრუ (იგულისხმება კბილები), და აბსოლუტურად ყველაფერი – ყველა ორგანოს გამოკვლევა ხდება. საგაზაფხულო გაწვევისას, მაგალითად 187-იდან დაწუნებული იქნა 95 წვევამდელი.

**– დამეთანხმებით, რომ არ არის კარგი მაჩვენებელი.**

– სამედიცინო კომისიაში საკმაოდ კომპეტენტური პირები არიან, მათ მიერ სამედიცინო შემოწმებაზე გატარებულ წვევამდელს განმეორებითი კომისია აღარ სჭირდება.

**– საუბრის დაწყებამდე სამხედრო ბილეთის მიღებაზე მესაუბრებოდით.**

– დიახ. 2007-2008 წლებში ჩვენი რაიონიდან სარეზერვო სამსახურგავლილი რეზერვისტები სამხედრო მოწმობას მიიღებენ ჩვენთან, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში. ასე, რომ მათ შეუძლიათ სამხედრო ბილეთის ასაღებად მოგვმართონ.

*ესაუბრა თინა ილაური*

# ვულოცავთ!

**აიპ საგარეჯოს №69 კომპლექსური სასპორტო სკოლის თანამშრომლები დაბადების დღეს და 50 წლის იუბილეს ვულოცავთ ჩვენს გულისხმიერ ხელმძღვანელს და მოსწავლე-სპორტსმენთა ღირსეულ აღმზრდელს, აიპ საგარეჯოს №69 კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორს ბ-ნ თემურ კურდღელაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ნაყოფიერ საქმიანობას თავის ოჯახთან და კოლექტივთან ერთად.**

***საგარეჯოს №69 კომპლექსური სასპორტო სკოლის თანამშრომლები***



**ოჯახის შექმნას ვულოცავთ ჩვენი განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელს ქეთი სონიძესა და თბილისელ კოლეგას ლევან ფხოველიშვილს. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერ მომავალს, მრავალშვილიანობას, დაე, ბედნიერება ნუ მოაკლოს ღმერთმა თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.**

***შსს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლები.***

# კახეთის შვიდი წლის ჩემპიონი

## ჭადრაკი



ეს პატარა ვაჟკაცი საგარეჯოელი ნიკა (ნიკუშა) კევლიშვილია. საგარეჯოს I საჯარო სკოლის უკვე მეორე კლასის მოსწავლე. ეს სამი მედალი კი, რომლებიც მას გულზე ჰკიდია, პირველ კლასში სწავლისას, შვიდი წლისამ მოიპოვა სხვადასხვა საჭადრაკო ტურებში გამარჯვებით.

ხუთ წელზე მეტის იყო ნიკა, როცა მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის ხელმძღვანელობით ბრძენთა თამაშის შესწავლას მოჰკიდა ხელი და თავისი ნიჭიერებითა და მიხვედრილობით თავიდანვე მიიქცია ყურადღება. ვარჯიშის დაწყებიდან წლინახევრის შემდეგ ის უკვე კახეთის ვერცხლის პრიზიორი გახდა შვიდწლიანთა შორის, რვაწლიანებში კი რეგიონის ჩემპიონობა მოიპოვა.

წარმატება და ჩემპიონობა იზეიმა ჩვენმა პატარა მოჭადრაკემ ბათუმის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე, რომელშიც თანატოლ ქართველ მოჭადრაკეთა შორის სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვებიც იღებდნენ მონაწილეობას. შვიდიდან ექვსი ქულით იგი ფესტივალის ერთპიროვნული ლიდერი და ჩემპიონი გახადა.

ნიკა კევლიშვილი აგრეთვე არის ივნისში, თბილისში გამართული შოთა ინწკირველის მემორიალის მესამე პრიზიორი; შესაძლებლობა ჰქონდა ევროპის ჩემპიონატშიც მიეღო მონაწილეობა, მაგრამ საქართველოს 8 წლიანთა ასაკის ჩემპიონატში ბოლო ტურის მარცხმა ეს შანსი გააშვებინა ხელიდან.

სადღეისოდ, ნიკას გარდა, საგარეჯოს საჭადრაკო სივრცეში გამოჩნდნენ პატარა იმედისმომცემი მოჭადრაკეები ლუკა გურჯიძე (შვიდწლიანთა შორის კახეთის ჩემპიონი, ამავე ასაკში საქართველოს ვერცხლის პრიზიორი), ეთუნა ხებრელაშვილი (შვიდი წლის ასაკამდე კახეთის ჩემპიონი, ამავე ასაკში საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი), ასევე პერსპექტიული ნორჩი მოჭადრაკეები: ლალი გარსიაშვილი,ერეკლე კავთუაშვილი, ლუკა ზალიკანიანი, გიგი როსტომაშვილი და სხვები.

*გივი დაბახიშვილი*

# გახსენება

## გელა შაქარაშვილი



18 წელი შესრულდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, როცა შენი გარდაცვალების ამბავი შევიტყეთ. ფეხზე დადგა მთელი საგარეჯო, მწუხარებამ დაისადგურა ყველა ჩვენგანის გულში. 18 წლის ჭაბუკის უდროოდ გარდაცვალებამ ყველას დაგვწყვიტა გული.

ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ, სულაც არ ყოფილა ასე. ჩვენ ისევ გვტკივა გული, ისევ ისე განვიცდით უშენობას, როგორც ამ 18 წლის წინათ, როცა დაგვშორდი და მარადისობაში გადაინაცვლე. ყოველი 14 სექტემბერი შენზე მოგონებებით აღინიშნება ჩვენო ძმაო და მეგობარო გელა, გიხსენებთ შენი მეგობრები და ახლობლები.

ვწუხვართ, რომ ასე დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩვენდა საამაყოდ დატოვე სახელი, რომელიც ბევრ მამულიშვილს შეშურდებოდა მამულისათვის სიყვარულში, რომელიც სამშობლოს ერთიანობას მიუძღვენი.

14 სექტემბერს კვლავ მოვალთ შენს საფლავზე და მოვეფერებით შენს ლამაზ ხსოვნას, რომელიც მუდამ გმირობის, პატიოსნებისა და მამაცობის სიმბოლოდ დარჩა ყოველი ჩვენგანის გულში, – სახელი, რომელიც სამაგალითო გახდება მომავალი თაობებისთვის.

***თანაკლასელები.***

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488